თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 4

ქ.თელავი 17. 04. 2024 წ.

**თავმჯდომარეობდა:** სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი.**

**სხდომას ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: **თინათინ ხანჯალიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე, მარიამ ლილუაშვილი, ბაადურ გულიაშვილი, იმედა კევლიშვილი, გიგი გიგიტელაშვილი, რუსუდან იმერლიშვილი.**

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ნინო ასანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ქეთევან ილაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერისათვის თელავის მუნიციპალიტეტის სახელით გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს. ლ.ბერძენაშვილი

**მოისმინეს:** 1. თელავის მუნიციპალიტეტის მერისათვის თელავის მუნიციპალიტეტის სახელით გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

**აზრი გამოთქვეს:** წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეტა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **ზურაბ სახიაშვილმა . როგორც მან აღნიშნა** საქართველოს რეგიონული, განსაკუთრებით კი - ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული ქალაქების განვითარებაზეა ორიენტირებული პროექტი რომელიც ევროკავშირის მიერ არის დაფინანსებული და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

მისი მთავარი მიზანი საქართველოს რეგიონებში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობაა, რასაც გრანტების, ტრენინგების, შემოქმედებითი სივრცეების შექმნის და სექტორთაშორისი თანამშრომლობის გაღრმავებით განახორციელებს. აგრეთვე განახორციელებს ქონების აღრიცხვას.

პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის გამოცხადდა ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საგრანტო კონკურსი, სადაც სხვა მუნციპალიტეტებთან ერთად შერჩეულ იქნა თელავის მუნიციპალიტეტიც. კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი დაეთანხმა წარმოდგენილ პროექტს, ხოლო წევრმა გიგი გიგიტელაშვილმა უარყოფითად შეაფასა იგი. კომისიის სხვა წევრებს მოსაზრებები არ გამოუთქვამთ საკითხის ირგვლივ.

**კენჭისყრა:** კენჭისყრის შედეგად საკითხზე წინააღმდეგი წავიდა ბაადურ გულიაშვილი გიგი გიგიტელაშვილი, რუსუდან იმერლიშვილი.

**გადაწყვიტეს:** **საბოლოოდ კომისიამ კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით საკითხს მხარი დაუჭირა და გადაწყვიტა:** პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით განსახილველად.

**კომისიის თავმჯდომარე** **ლევან ბერძენაშვილი**